# თეატრი და ცხოვრება

1910 სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი № 38

კვირა 26 ენკენ. ფასი 10 კაპ.

## დღეს იწყება ქართული თეატრის სეზონი

**ქართული თეატრი**

დღესა და სამშაბათს 28 ენკ.

**სამშობლო** დავ. ერისთავისა

ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით



თ. დავით გიორგის ძე ერისთავი

(„სამშობლო"-ს ავტორი)

**ახალი პიე**

პარასკევს 1 ოქტომბერ

იაკობ გორდინის დრამა ოთხ მოქ. **სატან**

ვლ. მესხიშვილის რეჟისორობი

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო და ...ჟურნალი

№ 38

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან
Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Іос. Зах. Имедашвили.
ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 862.

№ 38 — კვირა, 26 ენკენისთვე — 1910 წ.


## 26 ენკენისთვე 1910 წ.

**რით გავიმარჯვებთ?** დღეს დაიწყება ქართული თეატრის სეზონი იმავე პიესით, რომელმაც ამ ოც-და-ათწლის წინად პირველად ალაფრთოვანა ქართველთა სული და გული, გამოაფხიზლა ჩვენი ეროვნული გრძნობა...

ეს გახლავთ დავით ერისთავის პიესა „სამშობლო“, რომელიც ერთნაირის სარგებლობიანობით ემსახურება ქართული თეატრის ზნეობრივსა და ნივთიერს მხარეს...

პიესის გარეგნულს ჩონჩხს, ისტორიულს ფარგალს დიდის ხელოვნებით აქვს ჩაქსოვილი მოქალაქეობრივი გრძნობა—მამულიშვილობა, მოვალეობის გალმერთება, თავის შეწირვა, მთელის ერის პოლიტიკური სულის კვეთება...

და ამიტომაც არის, რომ ყოველი ქართველი უკეთილშობილესს გრძნობით განიმსჭვალება ხოლმე ამ პიესის ხილვით...

„სამშობლოს“-ს გადმომკეთებლის, უფრო შესაფერია რომ ვსთქვათ, ავტორის დავით ერისთავის შესახებ შემდეგ გვექნება ვრცელი წერილი, მხოლოდ ახლა კი ვისურვებთ, რომ ქართულ დრამატიულ დასს ღირსეულად დაეცვას თავისი პატივი და შესაფერად დაედგას ეს დრამა. პიესაში არ მოიპოება დიდი და პატარა, „კეთილშობილი“ და „არა-კეთილშობილი“ როლი, რომ ერთი უკეთ შესრულო, მეორეს ყურადღება არ მიაქციო. ყველას, ყოველ წვრილმანს შესაფერი და კუთვნილი ყურადღება უნდა მიექცეს, ყველა თავის ადგილას უნდა იყვეს. მხოლოდ ამ გვარად იქმნება დაცული წარმოდგენის მთლიანობა და მაყურებელზედაც შესაფერს შთაბეჭდილებას მოახდენს.

და მთელმა ქართველმა ხალხმაც უნდა იცოდეს, რომ თუ მას კულტურულ-მოქალაქეობრივი წინმსვლელობა სწყურიან, სამშობლო სცენის აღორძინებას უნდა შეუწყოს ხელი რეალურად, საქმით დაუკავშირდეს... მსახიობსა და მაყურებელს შორის ურთიერთობა უნდა განმტკიცდეს, რომ ერთმა მეორისა გაიგოს...

ტყუილად ნურავის ჰგონია, ვითომც ქართული თეატრი პარტიულ-წოდებრივია, „თავად-აზნაურული“, „ბურჟუაზიული“ და სხვ. არა, იგი ნამდვილი ქართულია, ეროვნულ-ხალხურია, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, და თუ როდისმე ასეთად არ იყო, ყველას—პრესისა და საზოგადოების—მოვალეობაა დღეიდან ასეთად გარდააქციოს...

აი, რით გავიმარჯვებთ!..

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დრამ. საზოგ. გამგეობამ პარტერში იაფ-ფასიან ადგილებს მოუმატა, თეატრში მეტი წესიერება შემოიღო... ახლა ხალხის მოვალეობაა, რომ თავის ხელის მომართვით გამგეობასა და დასს აღნიშნული კეთილი განზრახვანი განახორციელებინოს...

დღევანდელი წარმოდგენა ბევრის მხრით არის საინტერესო: მომზადებულია ახალგაზდა რეჟისორის ვ. შალიკაშვილის-მიერ, რომელიც გასულ წელს მოსკოვში იყო რეჟისორობის შესასწავლად, დღესვე პირველად გამოდის ლევან ხიმშიაშვილის როლში ბუდუ მდივანი, ინტელიგენტი და ფრიად მომზადებული ყმაწვილი კაცი, ქეთევანის—ნ. დავითიშვილი და შაჰის—გუნია, სვ. ლიონიძის—ვ. გამყრელიძე. დამზადებულია ახალი დეკორაციები და ტანისამოსი. პიესა იდგმება ახალი მიზანსცენებით.

ვუსურვებთ ქართ. დრამ. დასს წარმატება-გამარჯვებას...

## ეროვნული თეატრი და ენის სიფაქიზე

უმაღლეს დრამატიულ კურსებზე ქართველ მოსწავლეთა რიცხვი თანდათან მრავლდება. ყოველ წელს იზრდება ახალგაზრდა მსახიობთა რიცხვიც. ერთიცა და მეორეც ძლიერ სასიამოვნოა, მით უმეტეს რომ ჩვენი დამსახურებულ ძველ მსახიობთა გუნდი თან-და-თან მცირდება.

მაგრამ კარგად რომ ჩაუკვირდეთ საქმის ვითარებას, მაინცა და მაინც სასიხარულო არაფერი გვექნება, თუ კი მსახიობთა ახალი თაობა ერთს მცნებას არ შეიგნებს: მას უნდა ახსოვდეს, რომ თუ სამშობლო სცენაზე ჰსურს მოღვაწეობა, თუ სამშობლო სცენისა და ხელოვნების აღყვავებას ეტრფიალება უსათუოდ უნდა იცოდეს, კარგად უნდა შეისწავლოს ქართული ენა, ნამდვილი ქართული კილოთი და არა ჩიქორთულით.

თუ სცენაზე ლაპარაკობენ არა ნამდვილი ქართული კილოთი, ჩიქორთულად, უცხო ენათა გავლენით შერყვნილი ენით, ასეთ სცენას არასოდეს არ დაეყრება ხეირი და ისეთი მდგომარეობა მოელის, როგორც ჩვენს ახლანდელ სცენას. იგი ეროვნული კი აღარ არის, არამედ „ინტერნაციონალური“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პრინციპის მაგივრად, იქ დომხალივით არის არეული სხვა და სხვა კილო.

ამ მხრით ჩვენი სცენა ძლიერ დაცემულია. აბა გადავავლეთ თვალი იმ ძველ მსახიობთა გუნდს, რომელიც აგერ ოც-და-ათის წლის განმავლობაში პატიოსნად და მეტად ერთგულად ემსახურებოდა სცენას, განა ბევრს ნახავთ იქ ქართულ ენაზე მოლაპარაკეს? არა! მხოლოდ ორი თუ სამი იცავდა ქართულს (ამ მცირე გუნდს ეკუთვნოდა განსვენებული ნატო გაბუნიაც, რომლის ფაქიზ ქართულს აღტაცებაში მოჰყავდა ენის მცოდნენი). დანარჩენნი კი...—ყოველ მათგანს თავისი ჟარგონი ჰქონდა... ძველ ლიტერატურის შემწეობით ქართული ენის შესწავლა სრულიად დავიწყებული იყო.

თუ კი ისეთი მსახიობნი, რომელნიც ეროვნულ სცენის ბურჯათ ითვლებოდენ, არ აქცევდენ ყურადღებას ენის შესწავლას, არა მგონია ახალგაზდებმა მიაქციონ ყურადღება. განსაკუთრებით იმ ახალგაზდებმა, რომელნიც რუსეთსა და საზღვარგარედ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და არამც თუ კილო ეცვლებათ, არამედ ქართული ლაპარაკიც კი ავიწყდებოდათ.

რასაკვირველია, დრამატიული სკოლის დამთავრება კარგია, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ ქართველ მსახიობთ კიდევ ბევრი სამუშაო აქვთ. სხვა ერების სკოლის დამთავრების შემდეგ უნდა შეუდგნენ ქართული ენის შესწავლას, და მხოლოდ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, მაშინ, როდესაც სრულიად მოიცილებენ უცხო ენათა ზეგავლენას, როდესაც გააფოლადებენ და გაამშვენიერებენ თავიანთ შერყვნილს ქართულს, მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ დაიწყონ ქართულ სცენაზე მუშაობა. ეს ერთი უმთავრესი საშუალებათაგანია ეროვნულ სცენის აღყვავებისათვის. ეს ისეთი ელემენტარული მცნებაა, რომ საზღვარ-გარედ ბავშვმაც-კი იცის.

ამით ჩვენ არ გვინდა ვუსაყვედუროთ მხცოვან მსახიობთა გუნდს. იმათ, ასე თუ ისე, დიდი ღვაწლი დასდეს ეროვნულ სცენის აღორძინებას. ნარ-ეკლიანი გზა გაჰკაფეს და სრულიად უცნობი ადგილები გაიარეს. სრულიად უცნობის საქმის მაშინ დაწყება, როდესაც საზოგადოება გულგრილად გეკიდება, ადვილი არ არის და ამიტომ საყვედური არ ეკადრებათ ასეთ პირთ. ჩვენ მხოლოდ გვინდა ეროვნულ ენის სიფაქიზეზე მივაქციოთ ყურადღება იმათი, რომელნიც რუსეთსა და სხვა ქვეყნებში მიდიან სწავლის გასაგრძელებლათ, და ვისაც ჰსურს სამშობლო სცენას ემსახუროს.

ნუ დაივიწყებენ, რომ ეროვნულ სცენისაგან წმინდა ეროვნული ენაც განუყოფელია...

**კორდელი**

## კ ო ლ ხ ი დ ა შ ი

მთის კოკონებს, მთის მწვერვალებს
მთის არწივი ულგზნებს თვალებს...
შეცასტირის... შევალალებს...
ცის მნათობი ცის მკერდს ანთებს
მთების წიაღთ, მთების კალთებს
აელვარებს... აქათქათებს.
ჰანგი ისმის საარაკო,
ნაკადი სჩქეფს: „ახ, ჭალაკო,
დუ, დუ, დუ! რაკ, რაკ, რაკო“!..
კვნესა ისმის: „შევინახეთ
და ვერ ვპოვეთ, ველარ ვნახეთ
რაც დავამხეთ... რაც დავმარხეთ.
ცას არ ესმის... ის მკერდს ანთებს
და მდუმარე მთების კალთებს
გრძნეულ სხივად დაჰქათქათებს!...

**გ. ტაბიძე**

*
* *

ტკბილი იმედი, გაწბილებული
ვის მჭრელ იარად გარდაქცევია,
სიხარულის წილ ბნელი სევდები
ვისაც ნისლივით შემოგხვევია;
ვინაც დევნილი, სულით მაშვრალი
მეგობრის კალთას ეფარებოდი,
ნაცვლად საამურ განსვენებისა
მწარ ტკივილებში წამოხტებოდი
ვის წრფილი გრძნობა სიყვარულისა
გულში ჩაგიკვდა შეგინებული,
და ვისაც მოძმემ გადაგიმტვრია
ხმალი, მტრისათვის ამოღებული:
ოჰ, ჩემთან მოდით, ერთად დავღვაროთ
ცრემლი, ნაღველით ამოქცეული,
რომ დავიტიროთ ეს დედამიწა
ცბიერთ სამეფოდ გადაქცეული.

**კატო მიქელაძე**

## გახსენება თეატრის შესახებ

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 37)

ერთხელ მოვიდა ჩემთან ილია ჭავჭავაძე და, სხვათა შორის, თეატრის შესახებაც ჩამოვარდა ჩვენ შორის შემდეგი საუბარი:

— კაცო, ე თეატრი რომ აღარა გვაქვს, რას იტყვი შენ? დამეკითხა მოწყენით:—ძლივსძლიობით, როგორც იქნა, საზოგადოება მივაჩვიეთ თეატრს და ეხლა კი ისევ უნდა გადავავიწყოთ...

— ეგ მეც მაღონებს, ცოტა არ იყოს— ვუპასუხე მე.

— ბევრი ვეცადე, მაგრამ არა გამოვიდარა, ახლა აღარ შეიძლება, დაგვიანებულია, სხვას მივეცით ეგ დღეო.

— ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „საზიაროო ყანა თხამ შესჭამაო?“ ბევრი მეთაური რომ ყავდა, ერთმარნერთის ჯიბრით გააფუჭეს საქმე.

— ერთმანეთის ჯიბრით თუ დაიმედებით, არ ვიცი, მაგრამ ე თეატრი კი დავკარგეთ და!..

— ვითომ აღარა ეშველებარა?

— ეშველება, თუ შენ მოინდომებ.

— მე?!.

— ჰო, შენ! ქუთაისში როგორ მოახერხეთ? ახლაც დროებით სცენა გავმართოთ სადმე და შენ ითავე... რაფაელ ერისთავი ამხანაგად გეყოლება, მეუნარგია მდივნად. ჩვენც ყველა დაგეხმარებით და საქმე როგორმე ეგებ მოვაგვაროთ!..

— ეგ მოუხერხებელია... მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი როცა რამეს აკეთებს გმირია, მაგრამ მეორე თუ ამოუდგა გვერდით, აღარც ერთი აღარ ვარგა, ერთი მეორეს ხელს უშლიან და ალაყებენ...

— კარგი ერთი! რა დროს ხუმრობაა?!.

— არა, მე არა ვხუმრობ!—ეს არა თუ დღეს... ისტორიულადაც აგრე ყოფილა ქართველებში: დიდი მოურავი გიორგი სააკაძე და არა ნაკლები გმირი ზურაბ ერისთავი, რომ ორივე ერთსა და იმავე დროს არ ყოფილიყვენ, ვინ იცის, საქართველოს საქმე უკედ წავიდოდა.

— და მაგითი რა გინდა რომ სთქვა თეატრის შესახებ?

— ის, რომ სანამდი ბევრი მეთაურები იქნებიან... კომიტეტი და ქველმოქმედებაზე შემდგარი საქმე, თეატრიც ვერ იხეირებს. საჭიროა ერთმა ვინმემ აიღოს ანტრეპრიზა, შემოიღოს დისციპლინა, რომ არტისტები თავ-აღებული არ იყონ და ნელ-ნელა გამობრუნდება საქმე.

— მაშინ ხომ არტისტებს გადაწყვეტილი ჯამაგირი ენდა დაენიშნოსთ?

— რასაკვირველია...

— ჰო და ვინ გაბედავს იკისროს?

— მე ვიკისრებდი, რომ შეძლებული ვიყო.

— იკისრებდი!.. მაშ დიდ ჯამაგირს ნუ დაუნიშნავ და თუ შემოსავალი ვერ დაჰფარავს ჯამაგირს, მაშინ მე ვიღებ ჩემ თავზე, რომ ჯამაგირის მხრით არტისტები უზრუნველი იყონ... შენ კი დაიწყე და, თუ საჭირო იქნება, მე მოვაგროვებ ხოლმე ფულებსო.

მეორე დღესვე წაველი არწრუნთან, „მშაკის“ რედაქტორთან. დღევანდელ სათავად-აზნაურო სახლი, მაშინ ამ არწრუნის ქარვასლა იყო. იმას გაუმჟღავნე ჩემი გულში ნადები და ვსთხოვე, რომ მისი საკონცერტო ზალა სცენად გადაეკეთებია. ისიც დამეთანხმა... გამაგულიანა და მითხრა: ლოჟებს გადავაკეთებ, ქირას წარმოდგენისას ხუთ-ხუთ თუმანს დაგჯერდები და თუ შემოსავალი არ იქნება, არც იმაზე შეგაწუხებო, მხოლოდ ხან და ხან ზოგიერთ დღეებს სომხებსაც მივსცემ ხოლმეო. სთქვა და კიდეც აასრულა თავისი სიტყვა: გააკეთა ლოჟები და გაიმართა სცენა. მე შევუდგი არტისტების თავის მოყრას. პირველ ხარისხის მოთამაშეებს დავუნიშნე თვეში ასი მანეთი და ბენეფისი, მეორისას—შვიდ თუმან-ნახევარი და ნახევარი ბენეფისი. მესამისას ოთხ თუმან-ნახევარი და სხვებს სამ-სამი თუმანი.

შესდგა ტრუპა. მალე დაიწყო სეზონი. არა თუ ქონებრივად, ზნეობის მხრითაც არა ჩვეუ-

ლებრივად მიდიოდა სეზონი: საზოგადოება დიდ პატივსა სცემდა არტისტებს და დიდ მოლვაწეობათაც უთვლიდა სცენაზე გამოსვლას. ერთხელ გაბუნია გახდა ავად და მნახველები და მომკითხავები იმდენი მოდიოდენ, რომ დოქტორმა კიუჩარიანცმა სთქვა:

—ამდენი მნახველები კარგად მყოფსაც შეაწუხებენ, არა თუ ავადმყოფსო.

თეატრი ყოველთვის სავსე იყო ხოლმე და შემოსავალი არა თუ ჰყოფნიდა ჯამაგირად, კიდეც გადააჭარბა. წარმოდგენა გვქონდა კვირაში ერთჯერ. მერე იმავე პიესას იმ კვირაშივე ვითამაშებდით გავლით გორში და მერე ქუთაისში. საზანდრები მთელი დასტით თან დაგვყავდა ხოლმე. რასაკვირველია, ჩვენის ხარჯით და ქირით: საზანდარიც გარეშე გვყავდა დაქირავებული და ყველას ამას არა თუ ჰყოფნიდა, კიდეც აჭარბებდა შემოსავალი.

(დასასრული იქნება)

# გლეხის მოსახლობა იმერეთში

(სურათი)

დაცხრა მზე. ჩრდილმა პატარ-პატარა ღრიცხვი მთვარეებით აჭრელა შარა-გზა. ცხენმა უმატა ფეხს... აი თოხარიკიც გაურია. სიომ ნაზათ შემოუქროლა; ოფლის წვეთებით დანამული შუბლი გააშრო, გააგრი ლა. აღარ მოდის გული მგზავრს, როცა ღობეზე გადმოსულ ბროწეულს წამოედება ან ლელვის შტო სახეზე გადაუსობს ფოთოლს. დაუღლეული, ძიგვეში ჩაწოლილი ლორი ცხენს აცქვეტინებს ყურებს, იქ ძაღლი შეუტევს. მაგრამ მგზავრი არხეინად მიდის და ყველაფრით კმაყოფილია! მჩატე ჰაერს ხარბათ ჰყლაპავს.

მხედარმა შეუხვია მოსახვევში. სადღაა ეწერი, სადღაა სახარდნე, მთელს ფერდობს რომ მწვანეთ ფარავდა? აქ ხომ შარშან ვნადირობდით მელებზე. გორაკის წვერზე იკლაკნება კვამლი. ქოხი ოდნავ მოსჩანს. ჩქარა დურბინდი! ქოხი როკის ხისაა; ერთი კარი აქვს, დიდი დერეფანი და პატარა სარკმელი ისლის სახურავიდან ამოდის კვამლი. დერეფანში ქალი დაფუსფუსებს: ქათმებს საკენკს უყრის; დაბმულ მეწველ თხისთვის წინათვე ჩამოჭრილი შტოები მიაქვს. ეზოში ძოვს ხბო.

ფერდობზე კი შრიალებს „დატაროვებული“ ყანა—„ავ თვალს არ შეეხედება.“ გულგაღეღილი „პეტროიი“ გაათრებული „ამოროდებს“. მუხის ფოთლებიანი შტო ხერხიანად შეუკრავს და გვირგვინად დაუდგამს თავზე მზისაგან დასაფარავად. მარტოა ბიჭი, მაგრამ მხიარულია; თოხის პირი ალმასივით ელვარებს.

იმერელ ბიჭს ჩვენ მხოლოდ სცენაზედ ვიცნობთ:-ცუღლუტსა და მასხარას; ხან მოხერხებულს და ცბიერს, ხან ჩერჩეტსამ გულუბრყვილოს.

„პეტრო“ კი სხვა ბიჭია. მუდამ დაღვრემილი სახე აქვს, თუმცა ჯარში ლეკურისა და ბურთის თამაში უყვარს და კიდევაც ეხერხება. უფრო ხშირად ქვეშ-ქვეშ იხედება; სქელი, მბზინავი, შუბლზე ჩამოწოლილი თმა აქვს; პატარა ულვაშს ხშირად განზე ეზიდება, იქნებ ჩქარა გამეზარდოსო. დაკრაკნილი შავი წვერი ყბას ეკვრება პატარა ნამგლებათ. შავი და გულდაბეჟილი, მაგრამ გრძელი და შნოიანად ნათალი ხელები კვირაობით ხანჯალზე უწყვია, სამუშაო დღეს კი შეუწყვეტლივ მარდათ ატრიალებს წალდს, თოხს, ნამგალს, სახნისს და სახრეს; სიტყვას ადვილად არ მოქცემს, მაგრამ თუ მოქცა—კლდეა უტეხი; ლაპარაკი მოკლე იცის და მოწყენილი, დაღალული შემოგცქერის თუ ენა აჭრელე; ხუმრობა მოსწონს, ქალაქიდან ჩამოსული ბიჭების ლაზღანდარობას კი ალმაცერად უყურებს; ოთხი ძმა ჰყავს პეტრიას; სამი ქალაქში არის ფულის საშოვრად; ერთი პატარაა — ღამის მეხრე; ოჯახში სამი რძალი, მოხუცი დედა, პატარა ძმა და ძმისწულები ამ ბიჭის მოსავლელ, საპატრონო არიან. ძმები — თუ რასმეს იშოვნიან—ცოლს კი არ უგზავნიან, არა—ამ ჯმუხ ბიჭს. მაგიერათ კაჟია ეს ბიჭი. ქცევა-ნახევარი გადაბრუნებული ვენახი გაიშენა; კაი სადგომი აქვს; ოდაც კი დაიწყო, ძმების დახმარებით. ორი ულელი ხარი — მტერს თვალს უბნელებს. სხვა... ცხვარი, თხა ფრინველი და წვრილმანი დედაკაცების საქმეა—პეტროიი არ ერევა ამ საქმეში.

ყველაფერი კარგი, მარა ეს ახალი სახლი კორტოხზე,—ეს ვილასია?

შარშან სხვლის დროს მოხუცი დედა გადმოდგა ლობეზე და გადასძახა ვენახში გამალებით მომუშავე პეტრიას; „ბიჭო, ამეირბინე ერთი, სიკოი და ლევანიი ჩამევიდენ.“ პეტროიი იმწამს ძუნძულით ამოვიდა ეზოში. სიყვარულით მიეგებენ ძმები ერთმანეთს. ერთი კვირა ტკბილად იცხოვრეს. ბოლოს სადგომი საკმაოთ აღარ ეჩვენათ; რძლებმა ჩივილი დაიწყეს, პეტროიი საჭირო რამესაც კი გვამადლის, არ გვაძლევსო; ყველაფერს ინახავსო. „ჩემთვის მარტო არაფერი გადამინახავს ღმერთმა ხომ იცის“, იმართლებდა თავს პეტროიი—ვინახავდი შავი დღისთვის; რაც ჩვეულება და საჭიროება იყო არ დამიკლიაო“ მაგრამ ალვირ-აშვებული დედაკაცები თავისას გაიძახოდენ: „ახლა გვინდა სოფელ-ქვეყანაში გამოჩენა, თვარა შავი დღე რომ დაგვიდგება, მიწა მოგვაყარეთო.“ აირია მონასტერი. მოსაწესრიგებლად ქალაქიდან მოიწვიეს მესამე წასული ძმა — ათანასე.

იმანაც ვერაფერი გააწყეს.

მოხუცი დედაკაცი თავის ძუძუ-ნაჭმევთან გაიქცა, დაწვრილებით მოუყვა ამბავს, მაგრამ ახალგაზდა მებატონემ, პეტროიის ძმობილმა, ერთი ხელი ჩაიქნია, cherchez la femme-ო ბძანა და ურჩია ყველას გაყრილიყვნენ. გაიყარნენ.

რა ერგო პეტრიას? მარანი, ცალი ხარი, ორი ჭური, ნახევარი ქცევა ვენახი, ეწერი სადაც შარშან მელებზე ნადირობდენ, და რვა თუმანი ფული.

პეტროიი რა პეტროიი იქნებოდა, თუ ხელმოკლეობას შეუშინდებოდა. შუა ზაფხულში, როცა მუშაობა ყანებში შეწყდა, პეტრიამ მოიწვია ძადი (დალოცა ღმერთმა, წინა წელს ღვინის კაი მოსავალი იყო და პეტრიას შენახული ბლომად ჰქონდა; მოხევეებსაც საჭამადს ღვინო ერჩიათ), გაჰკაფა ეწერი, გადაიტანა მარანი, გააფართოვა იგი და გამოჭიმა სახლი; შემოდგომაზე კი თავისი მოხუცი დედით და ავლა-დიდებით გადავიდა ახალ ეზოში. დაარსდა ახალი კერა, გაჩაღდა ახალი მოსახლობა.

მოხუცმა ქალმა დიდ ხანს ვერ გაუძლო მთელი ოჯახის მოვლას. თანაც უცროსი ვაჟის ბედნიერება უნდოდა ენახა და შეუჩნდა და შეუნთო: „აი შენი შვილი მანახე.... დეესახლე ბარელამ ადამიანურად, რომ ვიცოდე დამტირებელი რამდენი მეყოლებაო“ დედა, ბებერი დედა, უსიტყვოდაც ყოველ მაჭანკალზე უფრო მჭევრმეტყველია... პეტრიამაც ერთი შავი გოგონა მონახა და დედას ახლი რძალი მოუყვანა.

მინდორში ერთგვარი ბალახი თესია.
ტყეში კი სხვა და სხვა ხე სდგას.
ქალაქში მცხოვრებლები არიან.
იმერეთში ცალ-ცალკე მოსახლეა.

განმარტოებით მოსახლე იმერელი გლეხი ერთი ებრძვის მტერს; ეხმარება მოყვარეს; განიცდის სიმარტოვის სიდუხჭირეს; და თან ჰყლაპავს დამოუკიდებლობის გამამხნევებელ ნექტარს.

იმერეთში რამდენი კორტოხია იმდენი ბატონია.

**ნ. ლორთქიფანიძე**

# სალამური

(ხალხური თქმულება)

**მწყემსებს**

ჰე, ძმანო მწყემსნო, უცხო ჰანგები
წრფელ სიყვარულით თქვენგან ვიყიდე,
მძივად ავასხი გრძნობათა ძაფსა
და ყელს სათუთად ჩამოვიკიდე.

ასე მექნება თქვენდა სახსოვრად,
ვიდრე სიკვდილი ჩამიტანს საფლავს,
ცხოვრება მწარი უცხო ჰნგებსა
ჩემს გულში ადრე ვერა, ვერ ჩაჰკლავს.

საღამოა. მზისა სხივი
ეთხოვება მთის მწვერვალსა,
გაშლილ ველზე ალაზანი
გლაკნითსტოვებს ვერცხლის კვალსა.
მწვანე მინდვრად რიყესავით
ცხვარი თეთრად გაფენილა,

აღარა სძოვს იონჯასა,
მდუმარებს და მოწყენილა,
ბექზე მისხანს ტურფა ქალი,
თვალთ სიყვარლად აყუყუნებს;
ხელთ უპყრია სალამური,
შორს მიმავალ გზას გაჰყურებს.

ქართველია, მწყემსი ქალი
შორსა ჰყვანან სოფლად ძმები,
მათ მოელის, მათ გზას უმზერს —
უღონებენ გულს ფიქრები.
— არსად სჩანან, სთქვა ასულმა,
და გაჰხედა ისევ გზასა...

სალამომ ფრთა აჰხსნა ნიავს,
სხივი მოსწყდა მოხუც მთასა.
— დაღამდა და არსად სჩანს,
არ მომხედეს დროზე ძმებმა,
რადა ვქნა რომ ურჯულოთა
წამიყვანონ ტყვედ ლეკებმა.
დამტანჯავენ, მაწამებენ
საპყრობილეს ჩამამწყვდევენ,
თავისუფალს, ბუნების შვილს
სულს ტყვეობით ამომგლეჯენ".
ღამის ბინდი ფრთებსა ჰშლიდა,
მთათ აჩრდილნი გრძლად წვებოდნენ,
დაობლებულ ქალის ირგვლივ
ველნი შავით ირთვებოდნენ.

ბინდ-ბუნდის მდუმარ სიღრმეში
კაცთა გამოჩნდნენ ლანდები,
ქურდულად ახლოვდებოდნენ,
გამოუცნობნი, შავები.
ქალწულმა იცნო ლეკები,
გულმა დაუწყო ფრიალი,
შეჰყვირა ლეკმა საზარლად,
ხმალმა გაიღო წკრიალი.
ხელი დასტაცეს მწყემს ქალსა,
უკან გაიქცნენ ჩქარადა,
თან წაიყვანეს ასული,
ცხვარი გაუშვეს ბარადა.
მიჰყვანდათ. ქალი ტიროდა:
„მშვიდობით არე-მარეო,
ვეღარა გნახავთ თქვენი და,
ცრემლი დამახრჩობს მწარეო.

მშვიდობით, ძმებო, მშობლებო,
მსხვერპლად გაუხდი ლეკებსა,
უცხოეთს გადაკარგული
ბევრჯელ დავაფრქვევ ცრემლებსა.
სამშობლოვ, გული მანდ დამრჩა
ისევ შენ გესალმუნება, —
გადმატარებენ დიდ მთებსა,
სიცოცხლე დამეთრგუნება.
მშვიდობით, ჩემო მწყემსობავ,
ცხვრის ფარავ, ტურფა ველებო,
წყაროვ, არშიყო მღერითა,
საყვარლის ცელქო ხელებო"...
გადაიარეს ხშირი ტყე,
გაუდგნენ ერთსა მდელოსა,
აქ ლეკებს შიში არ ჰქონდათ,
გასცილდნენ საქართველოსა.
ნაბიჯს მოუკლეს და ერთ-ერთს
რაღაცა უთხრეს მქუხარედ,
ქალს გული აუკანკალდა,
ამოიკვნესა მწუხარედ.

უთხრა: „აი, მალე მთებსა
მოვშორდები საწყალიო,
საქართველოს ვეღარ ვნახავ,
დამიდგება გლახ თვალიო.
მოვაკლდები მინდორ-ველებს,
დავშორდები მარადისო,
მოყვარულსა ბუნებისას
ციხე საფლავს გამითხრისო.
მწყემსი ვარ და, იცით, მიყვარს
სალამურის აკვნესება...
აი, კორდიც ტურფა ველზე,
რომ ამშვენებს ყვავილთ კრება —
ნება მომეთ კორდსა შევდგე,
სალამური ავაკვნესო,
თაყვანი ვსცე უკანასკნელ
ბუნებას და ჩემს მხარესო."
ლეკებმა სთქვეს: „რა უშავსო,
ერთი წუთით მივცეთ ნება,
ჩვენც ცოტა-ხანს დავისვენებთ,
არაფერი დაგვაკლდება."
ქალი მეისვე შედგა კორდსა,
მოიმარჯვა სალამური,
ჰა, წუთიც და ყველა მოკვდა, —
ხმა აღმოხდა საამური.

დაუკრა, როგორ დაუკრა!
მთლად ააცრემლა ქვეყანა,
მიწის მოთქმა და ქვითინი
ცად ადიოდა ღმერთთანა.
ცას ვარსკვლავები სცვიოდა,
მდინარეს ცრემლის ტალღები,
დრუბლებს იწყობდნენ თვალებზე
მთები, ცათამდე მაღლები.
ნიავს ფრთა მოსდუნებოდა,
ბუჩქის ძირასა ჩიოდა,
პატარა წყაროს მათ ახლო
ცრემლის ზღვა გადმოსდიოდა.
ლეკები გატაცებულნი
ქალს პირში მისჩერებოდნენ
და იმ ხმით გაოცებულნი
თავდავიწყებით სტკბებოდნენ.
სალამური კი მოსთქვამდა:
„ლეკებმა წამიყვანესო,
ძმებო, მიშველეთ ბედკრულსა,
დამხსენით სიმწუხარესო"....
ძმები, შორს სოფელს წასულნი,
გვიან დაბრუნდნენ ცხვართანა;
ცხვარი მინდორში ეყარა,
ქალი არ იყო მათთანა.
ეძებეს, ბევრი ეძებეს,
მაგრამ და ვერსად იხილეს,
მხოლოდ შორიდან მკვნესარე,
სალამურის ხმა ისმინეს.
სთქვეს: „უეჭველად ჩვენი და
ლეკებმა წაიყვანესო
და ის იქნება რო უკრავს
სალამურს მგლოვიარესო.
შეიარაღდნენ, მსწრაფლ შესხდნენ
ბედაურებსა ცხენებსა,
ვითა ისარნი მიჰქვეთენ
ტყიან მთებს, ტურფა ველებსა.
მივიდნენ, ნახეს თვისი და,
ყვავილნარ კორდსა მდგომარე,
სალამურს არაკრაკებდა,
ცრემლი სდიოდა მწუხარე.
ლეკები სმენით დამთვრალნი
სალამურს ყურსა უგდებდნენ
და სამტროდ მოსულ ქართველებს
გაბრუებულნი ვერ სჭვრეტდნენ.
იშიშვლეს ხმლები ქართველთა,
ლეკებზე ჯავრი იყარეს:
ცოცხალი არვინ გაუშვეს,
და სახლში წამოიყვანეს.

ამბობენ: თურმე ის მწყემსი
ისევ ტყვედ წაუყვანიათ,
არ კი იციან ვის, ან სად —
კვალი ვერ მიუტანიათ.
ის სალამურიც ბოროტებს
მწყემსისთვის წაურთმევიათ
და იგი ტურფა ქალწული
ცხრაკლიტურს დაუმწყვდევიათ.
მაგრამ ხალხს სჯერა, მოვა დრო
ხელთ იგდებს სალამურსაო,
დაუკრავს, მტერსა მოჰხიბლავს,
წაართმევს თვალს და ყურსაო.
ძმები კი გაიგონებენ,
წავლენ დის დასახსნელადო,
იხსნიან, წამოიყვანენ,
ცრემლს გადუქცევენ ლხენადო.

ი. მჭედლიშვილი

## სიკვდილს არავინ გადურჩება

(დასასრული იხ. „თ. და ც.“ № 37)

6.

იქ, ძირს, სად ტყე თავდებოდა, დიდი, უზარმაზარი ორმო იყო. განრისხებული ცა რომ წვიმას წარმოგზავნიდა, ორმო წუმპით ივსებოდა. ასე იყო მუდამ. დიდი, უზარმაზარი ჭაობი გაჩენილიყო, ჭუჭყი, ტალახი და წუმპე მთელი საუკუნოებით გადაჰფაროდა იმ ადგილს. და აი აქ, სადაც ბაყაყნი დანავარდობდნენ, ადამიანი დაბანაკებულიყო; აქ აიგო მას საკუთარი კერა, მისცემოდა განცხრომას, არარაობას. და ამ ცხოვრების ამაოებაში იბადებოდენ და იხოცებოდენ ადამიანები და მათ სხეულზე მეჯლისსა მართავდენ; ადამიანის სულში ხვლიკები შემძვრალიყვნენ, იქ დაიბუდეთ. ანკარეები პირს უკუქნიდენ ადამიანს. ადამიანები ჭაობის მეტს ვერაფერს ხედავდენ, მეგობრობდენ გველებს და თვითონაც გველები იყვნენ, ეალერსებოდენ ბაყაყებს და თვითონაც ბაყაყნი იყვნენ.

და, აი, იქ, იმ ორმოსაკენ მიაგორებდა ნიაღვარი **მას**, მტვრად ქცეულს, იქ სადაც პირველად აეხილა თვალები, სად **მისი** სამშობლო იყო, **მისი** ოჯახი, **მისი** მოვალეობა, სად არარაობას აკვანი ერწია მისთვის და ამაოებას ტკბილი ნანა დაემღერა. გამხეცებული ნიაღვარი ღრიალით მიექანებოდა ძირს და თან საცოდავი გვამი მიჰქონდა. და ყვავ-ყორანნი ჩხაონენ და იწყევლებოდენ, მგლები ღმუოდენ, ტურები ქვეყანას აფრთხობდენ.

და **ის**, მტვრად ქცეული გვამი, ნიაღვარს მიჰქონდა.

7.

ჭაობში კი ძველებურად ფუსფუსებდენ ადამიანები, ჩქარობდენ და გარბოდენ, მაგრამ კუს ნაბიჯით-კი დადიოენ, რადგან უყვარდათ კუ და ეჯავრებოდათ გიგანტი.

ცხოვრებითი თავისუფლების ტახტი კი ისევ თავის ადგილას რჩებოდა. და უკვდავება თავის ადგილს არ იცვლიდა.

სატანა თავს დასტრიალებდა ჭაობს, ხელში მახვილი ეჭირა და იცინოდა, ჰხარხარებდა, იჭყანებოდა, უხაროდა როდესაც **ის** წინ არ მიდიოდა. და როდესაც ჭაბუკი ვინმე ნათელცხებული, გზას გაუდგებოდა, ერთი საშინლად დაიწივლებდა და ფრთას ფრთას შემოჰკრავდა, ფიცხლავ აჩრდილს გამოუყენებდა მას და როდესაც დიდებული, მარგალიტებით მოჭედილი მთის მწვერვალი ისევ ისევე შეუხებელი რჩებოდა, სატანა იცინოდა, ილრიჭებოდა.

და მარად ერთი და იგივე გაისმოდა: „სიკვდილით დასჯა მაინც არ აგცდებაო“.

ადამიანი კი ფუსფუსობდა, მეჯლისი იმართებოდა, ბაყაყი ოპერიდან გალობდა, ყიყინებდა.

კვდებოდა **ის**, ილუპებოდა, **იგი**, სხვა იბადებოდა და მტვრად გადაქცევამდე უზენაესს სიძლიერეს ეურჩებოდა, **იმის** უკვდავებას თავის არსებობით განამტკიცებდა.

სატანა კრიჭაში იდგა და მოსვენებას არ იძლეოდა.

და ერთის ადგილზე მეორე იბადებოდა.

**ჯურღმული**

## შენ დავეძებდი...

შენ დაგეძებდი... გიფარავდა ფოთოლი ხშირი,
შემალებოდი ხშირ ბუჩქნარში ყვავილთა შორის...
თავს გევლებოდა...: დაგხაროდა ნაზი ზეფირი,
ჩემგან ილტვოდი... გეკრძალვოდა ჩემი ამბორის...

ცა, ფერ მიმქრალი, სევდიანად იცრემლებოდა,
მე ფიქრში გართულ მთას მეხვია შავი სუდარა...
მთრთოლვარე ხმები შორს სივრცეში იკარგებოდა,
ზეცა ყრუ იყო და ამაო ჩემი მუდარა...

ცის კაბადონზე ნაზად შეკრთა ფერმკრთალი მთვარე,
სულ-ამოხდომით ღრუბლის ნაფლეთს ზედ დაეკონა...
თვალი მივაპყარ ვარსკვლავთ სტროფო ნაზად მთვარე
მე ჩემი სტროფო... ფერ-მიმქრალი სტროფო მეკონა...

შენ დაგეძებდი... ჩემო ტურფავ, ბოლოს გიპოვე,
ვით ვარდს ცის ნამი მთრთოლვარ მკერდზე ზედ
დაგეკონე...
დამწველ თვალებით... ტრფობის ცეცხლი მთლად
ამოვწოვე,
რა რიგ მოტყუვდი!.. სამარემდის შენი გეგონე...

**კ. აბაშისპირელი**



ქართ. დრამატ. დასის რეჟისორი
**ვლ. ალ-მესხიშვილი**

# ყრუ სოფელში

სცენები სამ მოქმედებად სოფლის ცხოვრებიდან
(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 30—32 და 34—37)

**ნიკო.** წამომაყენეთ... ცოტა ხანს... გვერდები დამემტვრა ამდენი წოლით.

**მაიკო** *(ალათის შეხედავს)* ა, ალათი?... ხომ არ აწყენს, რომ ცოტა ხნით წამოვსვათ?

**ალათი** რავა აწყენს... რაკი მოისურვა, წამოსვი. *(ამაყად)* შელოცვაა, აბა რა არის ეს? კაცი უგრძნობლად იდო ლოგინში, ეხლა კი ლაპარაკი დაიწყო და წამოჯდომაც-კი მოისურვა.

**მაიკო.** აბა, მომეხმარეთ, თქვენ შეგეწევათ ღმერთი. *(ალათი მოეხმარება და წამოსვამს მაიკო ტახტზე ჩამოუჯდება და გულზე მიიწვენს)*

**ალათი.** ფერიც კი მოუვიდა კაცს.

**მაიკო.** სწორედ შემეწია ღმერთი და არ უნდა, რომ დამასაწყლოს და გამამათხოვროს... ღმერთო, დაილოცვა შენი სასწაული.

**სიმ.** არ მოიძულებს დიდი ღმერთი წვრილი ცოლშვილის მარჩენალ კაცს.

**მაიკო.** ავიჩქარე მე უბედურმა, დოხთურზე რომ გავგზავნე კაცი.

**ალათი.** *(იფეთქებს)* რაო?!, დოხთურზე თუ გაგზავნე, მე რაღას მომათრევდი აქა?.. საკვირველია ამ ხალხის საქმე: როგორც რაიმე გაუჭირდებათ, მიაფრინდებიან ამ დოხტურს. რა ნახეთ დოხტურში საიმედო? მიადგება სნეულს, უტრიალებს ხან ერთი მხარეს, ხან მეორეს, დაუბეჟავს გულს, და გვერდებს, შემდეგ დაეყუდება გულზე ყურით—თითქოს გული ეტყოდეს, რა ავადმყოფობა არის.

**მაიკო.** *(შეწუხებული)* რა არის, შე ქალო, გული რომ მოგივიდა?!. მე...

**ალათი.** *(აწყვეტინებს)* გული როგორ არ მომივა! დოხტური თუ გყავდა დაბარებული, მოვიდოდა და ის მოგირჩენდა შენს ქმარს. მე რაღას მომათრევდი ამ სიშორიდან. კაცი მე მოვაბრუნე, მოვარჩინე და ეხლა მოვა დოხტური, დაჯღაბნის რაღაცას ქაღალდზე, გაყიდვინებს ბარე ორი-სამი მანეთის წამლებს და, მე მოვარჩინეო, იტყვის.

**პეტ.** რას იზამ, ჩემო ალათი? კაცმა ცდა არ უნდა დააკლო. გაჭირვებული კაცი ყველაფერს ეპოტინება, მაგრამ ეს რავა უნდა გეწყინოს?

**ალათი.** როგორ არ მეწყინება, შენ გენაცვალე? ამისთანა ავადმყოფები მომირჩენია?!. დოხტური ფულის მახე არის. გამოგიწერს ქვეყნის წამლებს, სულიდამ ხორცამდე გაგაცლის და მერმედ არ მორჩებაო, გეტყვის. ეგ არის თქვენი დოხტური.

**მაიკო.** ეს მეც კი ვიცი, შე ქალო!.. შენ რომ გული მოგივიდა...

**ალათი.** მე, გული რავა არ მომივა? თუ.,.

**მაიკო.** *(აწყვეტინებს)* გამიგონე, ჩემო ალათი, და მერმედ გამამტყუნე. შენი გამოლოცვის იმედი რო არ მქონოდა, არც-კი გაგიმხელდი, რომ დოხტური დავიბარე. დოხტური რომ საიმედო არ არის, მეც კი ვიცი, მაგრამ ერთმა მითხრა—მოიყვანეო, მეორემ, მესამემ



ქართული დრამატ. დასის რეჟისორი
**ვალერიან ირაკ. შალიკაშვილი**



სომხური დრამატ. დასის რეჟისორი
**მსახიობი ა. არმენიანი**

და რა მექნა? რომ ღმერთი გამწყრომოდა და თვალები დამხუჭოდა, ქვეყანა ყბად ამიღებდა, ისე გააქრო და გაათავა კაცი, რომ ერთი დოხ-ცური არ აღირსაო, იტყოდენ.

**ალათი.** ქვეყანა ყბათ ამიღებდაო?!. თქვე დალოცვილის შვილებო, ქვეყანას რომ უჯე-რით, რატომ გამოცდილ ადამიანს არ კითხავთ?

**მაიკო.** გითხარი, ჩემო ალათი, რომ შე-ნი საწყენათ არ მიქნია მეთქი.

**სიმ.** ამაში საწყენი არაფერი არ არის, ალათი! ქალი ჯავრით დაბნეული და არეულია და თავისი გული უნდა მოიჯეროს, თორემ ყველანი კი ვხედავთ, რომ შენი შელოცვა მოუხდა და მობრუნდა კაცი.

**მაიკო.** როგორ არ ვხედავ, შენ კი შეგე-წია ღმერთი.

**ალათი.** (მოღბება) რა ვიცი, თქვე და-ლოცვილებო... ამოდენა ქალი გავიზარდე, ოც წელიწადზე მეტი იქნება, რაც ხალხს ვწამლობ და ჯერ ჩემი შელოცვა და წამლო-ბა არავის დაუწუნებია. (ფროსიკოს გადახედავს) თუ ვინმემ კი შემიარა გვერდი და სხვასთან წავიდა, კიდეც იმისთვის დაეყარა ხეირი.

**ნიკო.** დავიღალე... დამაწვინეთ...

**მაიკო.** კი, ბატონო, როგორც გენებოთ. (ფრთხილად დააწვენენ)

**ნიკო.** წყალი დამალევინეთ.

**სონა.** ეხლავ. (ჭიქას წყლით აავსებს)

**ალათი.** შელოცვილი წყლის ჩარევა არ დაგავიწყდეს.

**მაიკო.** (ჩაურევს ერთ კოვზს შელოცვილ წყალს და ასმევს)

VI

იგინივე და **კოლა**

**მაიკო.** მოდი, შვილო? (კოლას მიეგებება) ამდენი რათ დაიგვიანე, შვილო?

**კოლა.** (ფერანგის ამარაა, გული გახსნილი აქვს და თავზე ნაბდის ქუდი ხურავს) ცოტა მრჩე-ბოდა, ისე ცოტა, რომ მეორეჯერ იქ ჩასვლა აღარ ღირდა; ამისათვის ვარჩიე პატარა შემე-გვიანა და სულ გამომეთავებია. (ტახტისკენ მი-დის და ნიკოს ჩახედავს) მამა როგორ არის?

**მაიკო.** ცოტა უკეთ არის. ალათის შეე-წია ღმერთი, მისი გამოლოცვა მოუხდა და სული მოიბრუნა. (ნიკო სულ მიწუნარდება და ჩაიძინებს)

**ალათი.** (ამაყად) რას მაძლევ ეხლა, ბიჭო, ამა რომ მოგირჩინე? (ნიკოს გადახედავს) დაუ-უძინია კიდეც.

**კოლა.** (მორცხვად) ახლა მე რა მაქვს, რომ თქვენ მოგცეთ, მაგრამ თუ ღმერთმა და-მაცალა და...

**მაიკო.** (მხიარულად) გაიზრდება დიდი კა-ცი და ერთ კაბას შეგიკერავს. (კოლას) აბა,



სომხურ დრამ. დასის რეჟისორის თანაშემწე
**მსახიობი გ. ავეტიანი**

პირი დაიბანე, შვილო, სულ ერთ ავადჩამტვერილი ხარ. (სონას) შენ, სონა; გადი და საქმელი დაუმზადე, მოშივებული იქნება; ეს ბავშვებიც წაიყვანე, აქამე ამათაც და დააწვინე.

**სონა**. ნუცა, დათიკო, წამოდით. (გადის, ბავშვებიც მიჰყვებიან)

**პეტ**. როგორი სათოხარი იყო, კოლა?

**კოლა**. გვარიანი.

(სიმონი და ალათი ჩუმად ლაპარაკობენ)

**მაიკო**. წამოდი, წამოდი, შვილო და პირი დაიბანე: წყალს მე დაგისხამ. (გადიან)

**ფროს**. ღმერთმა დააცალოს და ძაან მარჯვე და ჭკვიანი ყმაწვილი კია.

**პეტ**. ძაან, სწორედ ძაან მარჯვე არის. ჯერ სულ 12-13 წლისა თუ იქნება და ბევრს 20 წლის კაცს არ ჩამოუვარდება მუშაობაში.

**ალათი**. (სიმონს)ა სე არის, ჩემო სიმონ! ისეთი მძიმე ავადმყოფი მომირჩენია, რომ მე თვითონ გამკვირვებია. ჩვენი ივანიის ბავშვს სულლზე მიუსწარი. თითქმის გაცივებულიყო; ცოტა კიდევ რომ დაგვიანებოდა, გათავდებოდა ბავშვი, მაგრამ მოვასწარი თუ არა გამოლოცვა, მივაშველე წამალი და ჩაუბრუნე სული: ორი საათის შემდეგ სულ გამობრუნდა ეს მკვდარი ბავშვი. ამისთანა რამდენი? სად შეგიძლიან ყველასი ჩამოთვლა, მაგრამ ვინ არის დამმადლებელი? ავადმყოფი რომ მორჩება, მერმეთ ყველას ავიწყდები.

**სიმ**. სამაგიეროთ, თუ კაცმა ვერ დაგისწავლა, ღმერთი გადაგიხდის, ალათი. ნიკოს მადლი, თუ ეხლა ეს მორჩა, საუკუნოდ გაცხონებს.

**ალათი**. ეხლავ არ ეტყობა, რომ მოუხდა?

**ფროს**. აწი, ღვთის მადლით, არაფერი არ უნდა უჭირდეს.

**ალათი**. (ფროსიკოს მიუბრუნდება) აწი რა გაუჭირდება?!. აი, აგერ წავალ სახლში, პატარა წამალს დაუმზადებ და გამოუგზავნი. იმ წამლის სმას რომ გაათავებს, სრულიად განიკურნება და ფეხზე წამოდგება.

**პეტ**. შენ იცი, ალათი, რაც სიკეთს იქ.

**ფროს**. ეს ძილიც ძაან მოუხდება. ვინ იცის, რამდენი ხანია რაც თვალი არ დაუხუჭავს, თელი ღამეები ისე ქლოშინებდა, როგორც ცოფიანი ძაღლი. წუხელის-კი ძაან შემეშინდა, ისეთი სიცხე ქონდა, ისეთი სიცხე, რომ მის შუბლზე კვერცხიც კი გამოცხვებოდა.

## VII

(იგინივე და მაიკო)

**მაიკო**. (მარცხენა კარებიდან შემოდის) ხომ არ გამოუღვიძია?

**ალათი**. გამოიღვიძა კი არა ისეთი ტკბილად სძინავს, რომ უკეთესის ნატვრაც არ შეიძლება.

**მაიკო**. (გახარებული) ღმერთო, შენს მადლს, თუ მომხედე მე გაჭირვებულს და მე საწყალს.

**სიმონ**. აწი ღვთის მადლით და ალათის წყალობით არაფერი უჭირს.

**ალათი**. (ემზადება წასასვლელად) აწი ჩემი წასვლის დროც არის; სახლში სხვებიც მიცდიან. (მაიკოს) თქვენ მარტო კი არა ხართ გაჭირვებული, ჩემო დაო,—სხვებიც არიან.

**მაიკო**. როგორც გიჯობდეს, შენი ჭირიმე. თუ კიდევ დამჭირდი, სონიას გამოგირბენიებ და ნუ დამამადლი მოსვლას, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი. მერმე მე ვიცი შენი პატივისცემა, შენს ნაშრომს არ დაგიკარგავ და ტყვილად არ გაგრჯი.

**ალათი**. აწი ჩემი მოსვლა არ არის საჭირო, თორემ მოსვლას როგორ დაგამადლი. ეხლა მაგას წამლის მეტი არა უნდა რა, თუ ცოტა ფულის დახარჯვას არ დაიზარებ, ისეთ წამალს გაგიკეთებ, რომ სამს დღეში კაცს ფეხზე წამოაყენებს.

**მაიკო**. რას ქვიან დავიზარებ, შენი ჭირიმე?!. რავა დავიზარებ, თუ რამე კი მომეხერხება? ცალი ხარი მყავს და იმასაც კი გავყიდი, ოღონდ კი მაგას მოვეხმარო რამედა.

**ალათი**. ბევრი კი არ უნდა... ეხლავ ვიანგარიშებ. (ანგარიშობს) უმ... 9 კაპ... 17 კაპ. ეს ხუთი შაური და ერთი კაპეიკი. კიდო... 11 კაპეიკიც, სულ შვიდი შაური და ორი კაპეიკი. ამ ფულით წამლები უნდა ვიყიდო: ჩემს ნაშრომს ჯერ არას გთხოვ, მერმეთ კი შენ იცი და შენმა პატიოსნებამ, ჩემო მაიკო.

**მაიკო**. თქმა არ გინდა. გასამრჯელოს, ორად მიიღებთ, თუ ღმერთმა არ დამასაწყლა.

**ალათი**. აბა, ეხლა მომეც წამლების საყიდელი ფული და გამიშვი, თორემ ბევრი დამაგვიანდა და ცოდვაა ის ხალხი, სახლში რომ მიცდის.

**მაიკო**. კი ბატონო. (მივა მერე ტახტ-

თან, სასთუმლის ქვეშიდან გამოიღებს ჭინჭოში გახვეულ ფულს, გახსნის და გადასთვლის 37 კაპ). მიირთვი, ალათი.

**ალათი** (ართმევს) აბა, აწი შენ იცი, კარგათ მოუარე, გამოლოცვილი წყალი ხშირად დაალევინე... ჩაის ხომ ასმევ?

**მაიკო.** ოი, ღმერთო კი მომკალი და გამათავე! წყალი მივადგი ცეცხლზე ასადუღებლად და მერმედ სულ არ დამავიწყდა.

**ფროს.** ეს რავა მოგივიდა, შე საწყალო?

**სიმონ.** ჩაი ძაან კარგია. ავად მყოფისთვის მაინც კარგი წამალია.

**მაიკო.** რა ჩემმა ცოდვამ გადამავიწყა... ეხლავ მოუმზადებ. (სამზარეულოს კარებს მიადგება) სონა, გაიქეცი მეზობლებში და ერთი ორი ნატეხი შაქარი იშოვე.

**სონა.** (სამზარეულოდან) კი, ეხლავ გავიქცევი.

**პეტ**, შაქარი ჩვენსას იქნება. ამას წინად, ჩემი ცოლი რომ იყო ავად, მაშინ ვიყიდე ბარე ერთი შაურის და უნდა იყოს მორჩენილი.

**მაიკო.** პეტრესას, პეტრესას გაიქეცი, შვილო. პეტრემ—ჩვენსას უნდა იყოსო.

**სონა.** (სამზარეულოდან) კი, დედა, კი.

**ალათი.** (გასასვლელად ემზადება) ისე მოიქეცი, მაიკო, როგორც მე დაგარიგე. დოხტური თუ მოვიდეს, მის მიერ გამოწერილ წამლებში არ დალუპო ფული. ხვალ დილას მომიკითხოს სონამ ან კოლამ და მე გამოგიგზავნი წამალს, იმის მეტი არაფერი უნდა.

**მაიკო.** კი, შენი ჭირიმე, მესმის.

**ალათი.** მშვიდობით გნახეთ. (გადის)

**ყველანი.** იცოცხლე, ჩვენო ბატონო!

**მაიკო.** (მიიხედ-მოიხედავს) მე გზა აბნეულს ჩაი როგორ დამავიწყდა?

**ნიკო.** (გამოიღვიძებს) ეჰ, ეჰ... მოვკვდი!

**მაიკო.** (შეკრთება) რა მალე გამოიღვიძა ამ საწყალმა. ჰო, ნუ გეშინია, აწი ღვთის მადლით არაფერი გიჭირს.

**ნიკო.** კი... კი მიჭირს... მიშველეთ.

**პეტრ.** ნუგეშინია, ნიკო, მალე მორჩები.

**ფროს.** (ნიკოს მიუახლოვდება) ნუ გეშინია, ღმერთი კარგად გამყოფებს. (მაიკოს) ჩაი, ჩაი მოაშველე დროზე, დააწყნარებს.

**მაიკო.** ეხლავე, ეხლავე (მოდის: კარებში ჯს შეხვდება)

## VIII

იგინივე და **კოლა**

**კოლა.** რა იყო დედა, ისევ შეწუხდა?

**მაიკო.** რა ვიცი რა იყო, შვილო! (გადის)

**ფროს.** არაფერია, შვილო!

**კოლა.** (ჩახედავს ნიკოს) აჰ, როგორ გამოიყურება.

(კოლას სიტყვებზე ყველანი ნიკოს მიუახლოვდებიან)

**სიმონ.** რა იყო, შე კარგო კაცო, რომ შეგვაშინე. ავადმყოფი აბა როგორ იცქირება?

**მაიკო.** (სამზარეულოდან) სონა რავა დაიკარგა? კოლა, გადი, შვილო და სონიას გადასძახე, მალე გამოიარეთქო.

**ფროს.** ეჰე, დედაშენმა სონიას გადუძახეო. წადი, წადი; მამაშენს აწი არაფერი არ უჭირს.

**კოლა.** მე კი ძაან მეშინია და.. (გადის)

**სიმონი.** (დაბალის ხმით) ტყვილი კი არ თქვა კოლამ, მართლაც ცუდი გამოხედვა აქვს.

## IX

იგინივე და **ივანე**

**ივანე.** აქა მშვიდობა და კარგად ყოფნა! (ყველანი სალამს აძლევენ) რას შვრება სნეული?

**ფროს.** რა ვიცი რას შვრება... ერთხანს ქე იყო მოხედულად, მაგრამ ეხლა ისევ უმატა შფოთვას.

**ივანე.** მაიკო სად არის?

**სრულ.** ჩაის ამზადებს, იქნებ მოუხდეს პატარა.

**ივანე.** (ტახტზე ჩამოჯდება და დაბალის ხმით) მაიკოს არ გაუცხადოთ და სწორედ გლახა ამბავი გავიგე.

**ყველანი.** რა იყო, რა გაიგე?

**ივანე.** რა და ის უკუღმართ საათზე დაბადებული მამასახლისი არ ასვენებს ამ მომაკვდავ კაცს. (ნიკოზე ანიშნებს)

**ყველანი.** რა არის, რა მოხდა?

**ივანე.** ჩვენი ნაცვალი კოსტაია შემხვდა დღესა და მან მიამბო, რომ მამასახლისს დანოსი გაუგზავნია ვეზდი ნაჩალიკთან, ნიკო სულაძე ბუნტოვჩიკი არისო, ხალხს რევსო. ეს რაღაც ცოციალები რომ გაჩნდენ, მათი თანამოაზრე და ამხანაგი არისო. ჩვენი მასწავლებელიც ზედ მიუტოლებია, ყველასი მოთავე და სულის ჩამდგმელი არისო.

(ყველანი განცვიფრებული უცქერიან ივანეს)

**ფროს**. რას ჩააცივდა ამ კაცს, რა უნდა რომ არ ასვენებს?

**ივანე**. რა უნდა და მისი ოჯახის დაქცევა. ნაცვალმა თქვა, ამას არ იქმდა, რომ ნიკოს ცოლის ძმას არ ეჩივლა (*ნიკოზე ანიშნებს*) ამ კაცის გალახვა და ნაობახში ჩაგდება.

**პეტ**. მერმედ რას უზამს ამ დანოსით?

**ივანე**. დაიჭერენ და ციმბირში გადაასახლებენო.

**ფროს**. (*განცვიფრებული*) ღმერთი არ სწამს მაგ კაცს? ჯერ კაცი ცემით მოკლა და ეხლა თავის სახლშიც კი არ აყენებს?!.

**პეტ**. რა მისი ოჯახის დაქცევას და ამოვარდნას გაგზავნის ციმბირში? კაცი უკანასკნელ დღეში არის და მკვდრის გაგზავნას ხომ არ აპირებს!

**სიმონ**. თუ ესეც კი გაუვიდა მას, მაშინ, ეს საწყალი ნიკო იტყოდა—იმის ხელი არ იყოს, არც კანონი ყოფილა და არც სამართალიო.

X

იგინივე და **მაიკო**

**მაიკო**. (*დასხმული ჩაი შემოაქვს*) შაქარი კიდევ არ მოიტანეს? (*ჩაის მიიტანს და მაგიდაზე დადგამს*)

**ფროს**. მართლა სად არიან ამდენი ხანი?

**მაიკო**. ისევ გადავეგებები. (*გასვლას აპირებს. მაგრამ ამ დროს შემოდიან კოლა და სონა*)

XI

იგინივე, **სონა** და **კოლა**

**სონა**. სამი ნატეხი ვიშოვე, დედა.

**მაიკო**. რავა დაიკარგეთ თქვე საწყლებო? (*გამოართმევს შაქარს და ერთ ნატეხს ჯიბეში ჩააგდებს და კოვზს ურევს*)

**ივანე**. (*ჩხუბს იწყობს*) რა არის ეს ოხერი ჩვენი სიცოცხლე?.. რაც ქვეყნად გავჩნდი მას აქეთ სულ იმას გავიძახით, აწი უკეთესი დღე დაგვიდგება, განათლება შემოვათქო, მაგრამ ჩვენთვის ჯერაც არაფერი გაკეთებულა და აწიც ვინ იცის რა იქნება.

(*მაიკო და ფროსიკო ნიკოს კოვზით ასხამს ჩაის პირში*)

**მაიკო**. დალიე, დალიე, შენი ჭირიმე, მოგიხდება, წამლად გარგებს.

**პეტ**. ტყვილს კი არ ლაპარაკობდა ჩვენი უჩიტელი: ჩვენ თუ არ ვიფიქრეთ ჩვენს თავზე და გაჭივრებაზე, სხვა ვინ რას დაგეძებსო.

**ივანა**. ჩვენ რა უნდა ვიფიქროთ, ჩემო პეტრე? ნასწავლი ჩვენ არ ვართ და განათლებული

**პეტ**. ნასწავლი ვართ, თუ უსწავლელი მაინც უნდა ვეცადოთ ჩვენი თავისთვის, ჩვენი საქმე და ჩვენი ბედ-იღბალი ჩვენ უნდა გვეჭიროს ხელში, ჩვენ უნდა ვიყვნეთ ჩვენი თავის და საქმის ბატონ-პატრონი.

**მაიკო**. ერთი კოვზი კიდევ, შენ კი გენაცვალე, ერთი კოვზი.

**ნიკო**. არა... არ მინდა... წაიღე!

**ფროს**. მოგიხდება, ნიკო!

**ნიკო**. არ მინდა მეთქი!

XII

შემოდიან **ექიმი** და **გოგია**

**გოგია**. (*წინ შემოუძღვება*) მოვიყვანე დოხტური. (*მიბრუნდება*) შემობრძანდით, ბატონო!

**ექიმი**. (*შემოდის, ყველანი ფეხზე წამოდგებიან*) საღამო მშვიდობისა!

**ყველანი**. ღმერთმა გაცოცხლოთ, ბატონო დოხტურო!

**ექიმი**. (*თვალს გადაავლებს იქაურობას*) აქ, ბატონებო, ბევრნი ბრძანდებით. პატარა ბინაა და ავადმყოფს ჰაერი არ ეყოფა.

**პეტ**. თუ საჭირო არის და გვიბრძანებთ, გიახლებით, ბატონო.

**ექიმი**. ძლიერ კარგი იქნება. აქ ერთი ან ორი კაცი საკმარისია, მეტის დარჩენა შეუძლებელია.

**პეტ**. ეხლავ გიახლებით. წავიდეთ, ხალხო! (*ყველანი გადიან, გარდა მაიკოს, ივანეს და სიმონისა*)

**ექიმი**. (*ავადმყოფთან მიდის, ტერმომეტრს უდებს*) აქ ისეთი სუნია, ტიფი უნდა იყოს. (*ერთმანეთს გადახედავენ*)

**მაიკო**. მარჩიელთან ვიყავი, ბატონო, და ანაყოლი არისო, მითხრა.

**ექიმი**. (*დინჯათ*) მარჩიელს არ უნდა დაუჯეროთ. ისინი მატყუარები არიან. (*მაჯას უსინჯავს პაუზა*) ჰმ.... მაჯა ცუდათ უცემს. (*მაიკო შეკრთება*)

**სიმონ**. (*ექიმს სკამს მიუწევს*) დაბრძანდით, ბატონო!

**ექიმი**. (*ჯდება*) თქვენც დაბრძანდით. (*ივანე და სიმონი ტახტზე ჩამოსხდებიან*)

**მაიკო**. (*თვალებში უცქერის ექიმს*) როგორ ატყობთ, ბატონო?

**ექიმი**. აი, სიცხეს გაუსინჯავ, დავხედავ დაუკვირდები და შემდეგ მოგახსენებთ. თქვენ

ჯერ ეს მითხარით: როგორა ან რითი გახდა ავად, თუ დაკვირვება გაქვთ? ან რა არის, სახეზე აქა-იქ კანი გალურჯებული რომ აქვს?

**მაიკო.** რა ვიცი, ბატონო, რით გახდა. მე ანაყოლს ვფიქრობ, ბატონო. ამას წინედ ამ საბრალომ რაღაც მამასახლის აწყენია; მან კი დაიჭირა და ნაობახში ჩააგდო. მე ვფიქრობ იქ თუ აყვა რამე მეთქი.

**ექიმი.** რამდენი დღე იყო დაჭერილი

**მაიკო.** ცხრა დღე, ბატონო?

**ექიმი.** (*გაკვირვებული*) ცხრა დღე? მამასახლის არ აქვს უფლება, რომ ამდენი ხნით ვინვე დატუსაღებული ამყოფოს, თუ დატუსაღება მას მისჯილი არ აქვს სასამართლოს მიერ. მაინც ისეთი რა ჩაიდინა, რომ აგრე გაუბრაზებია ის მამასახლისი?

**სიმონ.** მოგახსენებთ, ბატონო. ამას წინად ყრილობაზედ ვიყავით ღაბარებულნი! რაღაც ედონიკა არის დარჩენილი და უნდა გაიხადოთ. ამ საწყალმა დაიწყო ყვირილი: „რა ედონიკა, რის ედონიკაო“: შეებენ ერთმანეთს. მამასახლისმა მათხოვარი უწოდა, ამანაც არ მოთმინა და წამოკრა; „ედონიკა კი არა შენ შეჭამე ფულები და ეხლა გინდა მეორე ხელ გადაგვახდევინო.“ ამ სიტყვებზე მამასახლისი ცოფიან მგელსავით გადმოვარდა აივანიდან, დაებღვნა და დაუწყო ცემა; შემდეგ სტრაჟსაც აცემია და, როდესაც ცემით მოიჯერა გული, ნაობახში ჩააგდო.

**მაიკო.** ცხრა დღე და ღამე გაატარებია ნაობახში, ბატონო! ტიტველა მიწაზე ეგდო კაცი, არც დასაგები და არც დასახურავი არ მიმკარებია იმ ულმერთომ.

**ექიმი.** ავადაც სწორედ იქ გამხდარა.

**მაიკო.** დიახ, ბატონო! ნაობახიდან ავადმყოფი მოვიყვანეთ.

**ივანე.** ჩვენი ღმერთი და მბრძანებელი ის მამასახლისი შეიქნა, ბატონო, და რასაც უნდა იმას გვიშვრება. შეგვჭამა, დაგვაქცია ერთი სამამასახლისო ხალხი.

**ექიმი.** თუ აგრეა, რატომ არავითარს ზომებს არ მიიღებთ?

**ივანე.** რა ვიცი, ბატონო! ვიძახით, გამოვცვალოთო, მაგრამ მაინც ვერა მოუხერხეთ რა.

**ექიმი.** (*ადგება ტერმომეტრს გამოაცლის და გახედავს*) მადა... ხიცხე მაინც და მაინც დიდი არა აქვს. (*მაიკოს*) თქვენ ამის მეუღლე ბრძანდებით?

**მაიკო.** დიახ, ბატონო!

**ექიმი.** აბა საბანი გადაუწიეთ და გული გაუხსენით.

**მაიკო.** კი, თქვენი ჭირიმე.

**ექიმი.** სანთელი ახლოს მომინათეთ.

(*მაიკო სანთელს მიუნათებს, ექიმი კარგი ხანს სინჯავს*)

**ექიმი.** აბა ამოისუნთქეთ... კიდევ... უფრო მაგრათ ამოისუნთქეთ. (*პაუზა*) ცოტა ადრე რომ მოგემართათ, კარგი იქნებოდა, (*ექიმის სახეს უიმედობის ნიშნები ემჩნევა*)

**მაიკო.** (*შეშინებული*) როგორ, ბატონო?.. ნუ თუ არავითარი იმედი არ არის?!.

**ექიმი** ჰო.... ჯერ კიდევ არა უშავსრა, მაგრამ ცოტა ადრე რომ მოგემართათ, მაშინ უფრო ჩქარა და იოლად გადაიტანდა ავადმყოფობას

**ივანე.** რით არის, ბატონო, ავად?

**ტიფით.** ტიფით გახლავთ. (*ექიმი კიდევ უსინჯავს მაჯას*) აბა ქაღალდი და საწერი-კალამი მოიტანეთ.

**პეტ.** მოართვი, მაიკო!

**მაიკო.** (*სანთელს მაგიდაზე დადგამს*) ამ საათში. (*გადის*)

**ივანე.** რას იტყვით, ბატონო დოხტურო, — თუ ეშველება რამე?

**ექიმი.** (*თავს უიმედოდ ჩაიქნევს*) არაფერი არ ეშველება. კაცი სრულიად დამწვარა სიცხით. კიდევ სულ რამდენიმე წუთი და გათავდება. მაჯა თითქმის სრულიად გაჩერებულია. რეცეფტს მაინც დავწერ, მაგრამ წამალზე ნუ გაგზავნით, მაინც ვერ მოუსწრობს.

**პეტ.** (*შეწუხებული*) ღმერთო, შენ ჰკითხე მაგიერი ცოდვა მის აგრე მომქცევს!

**ექიმი.** ნაცემი ეხლაც ამჩნევია. ტიფიც უეჭველად ნაობახში გაჩენია. თუ ამ საბრალოს ჭირისუფლები მოისურვებენ მამასახლისის წინააღმდეგ საჩივრის აღძვრას, ამის მოწმობას, რომ ძლიერი ნაცემია, მე მოგართმევთ.

**პეტ.** საჩივარი უკვე აღძრა ამისმა ცოლის ძმამ.

**ექიმი**, ეგ კიდევ უკეთესი. თუ მოწმობა იქნეს საჭირო, მე მომმართეთ.

**პეტ.** საჩივარი კი აღძრა, მაგრამ...

**ექიმი.** მაგრამ რა?

**პეტ**. რა, ბატონო, და, როდესაც გაუგია მამასახლისს, რომ მის წინააღმდეგ საქმე დაიწყეს, მას ვეზდი ნაჩალნიკთან დანოსი გაუგზავნია: ნიკო სულაძე ბუნტოვჩიკია და მთავრობის წინააღმდეგ ხალხს აბუნტებსო.

**ნიკო** (*უკანასკნელი წუთები უდგება და შფოთვას იწყებს*) აჰ... ეხლა კი მოვკვდი... მიშველეთ.

**ექიმი**, ააა... ეგ როგორ შეიძლება? არ მოგიხდებათ, გავნებთ.

**ივანე**. მაიკოც სად დაიკარგა ამდენი ხანი?

**ნიკო**. წამომაყენეთ მეთქი!.. ერთი კიდევ გადამავლებიეთ თვალი აქაურობისთვის. (*უკანასკნელ ძალღონეს მოიკრებს და წამოდგება. პეტრე მიეშველება და თავს დაუჭერს*)

**ივანე**. სად დაიკარგე, მაიკო? გამოდი!

XIII

*შუა კარებიდან შემოდის* **მამასახლისი**, *მას უკან მოყვება* **ბოქაული** *და* **ორი დარაჯი** *გვერდის კარებიდან გამოდის მაიკო. როგორც კი მამასახლის და ბოქაულს დაინახავს იქვე კარებშივე გაშეშებული შედგება. მაიკოს მელანი, კალმისტარი და ქაღალდი უჭირავს ხელში.*

**ექიმი**. (*განცვიფრებული*) ააჰ?!..

**ბოქაული**. მაზრის უფროსის მოწერილობით ნაბრძანები მაქვს დავაპატიმრო კანონის სახელით ნიკო ოტიას ძე სულაძე, რომელიც სანდო პირთა ჩვენებით, როგორც მავნე მიმართულების ადამიანი !აფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი მშვიდობიანობისთვის.

(*პაუზა. ყველანი განცვიფრებული უცქერიან ერთმანეთს*)

**ნიკო**. აჰ... აჰ... მოვკვდი ცო... ოლი... შვი...ლები... ვაი ჩემო ოჯახ... (*პეტრე მიეყრდნობა გულზე და სულს განუტევებს*)

**მაიკო**. *სამელნეს ხელიდან გააგდებს, კივილით გაექანება ნიკოსაკენ და ტახტზე გაეცემა*) ნიკო!.. ჩემო ნიკო!.. (*მაიკოს კივილზე ყველანი გამორბიან, მაგრამ მამასახლის და ბოქაულის დანახვაზე კარებშივე განცვიფრებული შედგებიან*)

**ექიმი**. (*პატარა პაუზის შემდეგ*) უკაცრავად, ბატონო ბოქაულო! დაიგვიანეთ. ნიკო სულაძე გასცილდა თქვენდამი რწმუნებულ საზღვრებს: აწ კი ვერ შესძლებთ მის დაპატიმრებას.

**ივანე**. (*სასოწარკვეთილი*) ვაი თუ ამასაც სიცოცხლე ჰქვია?!. მკვდრებსაც კი აღარ გვასვენებენ...

**ფარდა**

დასასრული

1909 წ. ქ. მოსკოვი **ივ. ჰავჰანიძე**

# სათეატრო მიმოხილვა

## ქართული თეატრი

✦ **დღეს იწყება ქართული თეატრის სეზონი** დავ. ერისთავის ისტორიული პიესით „სამშობლო", ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით. მთავარ როლებს შეასრულებენ:—სვიმონ ლიონიძე—ვ. გამყრელიძე, ქეთევანი—ნ. დავითაშვილი, ლევან ხიმშიაშვილ—ბუდუ მდივანი, შაჰაბაზი—ვ. გუნია, ფაიხოში—ო. ლეჟავა, დადიანი—ი. ზარდალიშვილი, დედაკაცი—ე. ჩერქეზიშვილი, დიაკვანი—ვ. შალიკაშვილი.

✦ **მომავალ სეზონისათვის ქართულ დრამ.** საზოგ. გიმგეობამ ძლიერ გააიაფა ადგილების ფასი თეატრში, განსაკუთრებით იმ ადგილებისა, რომელთაც ჩვეულებრივად ჩვენი ხალხის შუათანა და დემოკრატიული ნაწილები იჭერენ ხოლმე. პარტერში მრავალი ადგილებია 50 კ. დაწყებული 1 მანათამდე და აივანი კიდევ უფრო გაიაფებულია.

✦ **დღევანდელი წარმოდგენისთვის** ვ. შალიკაშვილმა ახალი დეკორაციები დააწერინა მხატვრებს ნოვაკს დალანსკის. სამხატვრო დეკორატიულ ნაწილს, გარდა რეჟისორებისა, განაგებენ აგრეთვე ცნობილი მხატვარი გრინევიცკი და ჩვენი ახალგაზდა მოქანდაკე ი. ნიკოლაძე. ,,სამშობლოს'' შემდეგ პარასკევს, 1 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება ი. გორდინის ცნობილი პიესა— ,,სატანა'' ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით. ამ პიესისათვისაც ახალი დეკორაციებია დახატული. კვირას, 3 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა ნ. შიუკაშვილისა ,,სიმახინჯე''.

## სახაზინო თეატრი

✦ **ოპერის სეზონი** 18 ენკენისთვეს დაიწყო ოპერა „Жизнь за Царя"-თი, ა. ეიხენვალდის თაოსნობით. ამ დაუღალავ და მხნე ადამიანის მოწყალეობით, რამოდენადაც პირველი ნიშნით შეიძლება ვივარაუდოთ, ოპერები სცენიურისა და მუსიკალურის მხრით კარგად დაიდგმის. პირველ საღამოსვე სჩანდა ხელი სცენის მომწყობისა და ლოტბარისა. მონაწილე-თანამშრომელთა შორის არიან სათვალჩინო ხმის პატრონნი.

## არტისტიული თეატრი

✦ **შალიაპინის კონცერტმა** კვირას, 19 ენკენ. დიდძალი საზოგადოება მიიზიდა, განსაკუთრებით თბილისის შეძლებულ-ფულანდარი ბურჟუაზია და უმაღლესი მოხელენი. პირველი რიგები იყო ცარიელი, მაგრამ კონცერტის დაწყების შემდეგ „პიტნა გაიაფდა"—ბილეთები ნახევარ და მესამედ ფასად იყიდებოდა. სამწუხაროა ასეთი მოვლენა, თუ თეატრის ადმინისტრაციის ნებართვით მოხდა. რაიცა შეეხება შალიაპინს, საკვირველი არ არის, რომ დამსწრენი აღტაცებით მიგებებოდენ,—მან თბილისშივე დაიწყო თვისი მუსიკალური მოღვაწეობა, თბილისში გაატარა თავისი ჭაბუკობა, „მას ჟამსა შინა" მ. გორკისთან ერთად, ბედით დევნილთა შორის, მაგრამ ასე მალე დაივიწყა წარსუ-

ლი და გარდა იმისა, რომ თბილისის უმაღლეს საზოგადოებას ძვირად დაუსვა თვისი კონცერტი, მდაბიო ხალხს, რომლის წრიდანაც იგი წარმოიშვა, საშუალება არ მისცა მისი კონცერტი მოესმინა.

კონცერტი კი, დიაღაც, რომ დიდებული იყო: ხელოვანსა და ბუნებით არტისტს საოცარი ხმა, გამოთქმა და გრძნობა აქვს. ძნელია კაცმა კალმით გადმოსცეს მისი ხმის დიადობა,—იგი უნდა მოისმინოთ, რომ სავსებით იგრძნოთ, თუ რა მომხიბლავ ძალას წარმოადგენს ღვთიურ-ჯადოსნური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი... ტყუილად არ ეძახიან შალიაპინს ჩვენის დროის მსოფლიო მომღერალს...

შალიაპინმა ერთ გამოსვლაში 3500 მან. აიღო და მეორ ე დღესვე გაემგზავრა რუსეთს.

✦ **ვ. ი. ნიკულინის ანტრეპრიზის** სეზონი დაიწყო 21 ენკ. ფრიად სასიამოვნო აზრი მოსვლია. ბ. ნიკულინს. მას განუზრახვს ფასიან წარმოდგენების გარდა ჰმართოს ხოლმე უფასო წარმოდგენებიც მოსწავლეთათვის. ამ აზრის განსახორციელებლად ბ. ნიკულინი კავკასიის სკოლების ოლქის მზრუნველთან იყო. მზრუნველმა სიამოვნებით მიიღო და განსაკუთრებული მოხელეც მიუჩინა. პირველი უფასო წარმოდგენა გაიმართება 1 ოქტომბერს. აი წასაბაძი მაგალითი, თუ რეპერტუარიც რიგიანი და შერჩეული იქნება. **წ—ი**

## სახალხო სახლი

**ქართ. წარმ. მმართველ. წრემ** დაიწყო სეზონი 19 ენკენ. ნ. გოცირიძის რეჟისორობით, წარმოადგინეს ბეირლეინის დრამა „სამხედრო ბანაკში''.

ეს პიესა ხშირად წარმოუდგენიათ და ალბად ეს იყო მიზეზი, რომ ხალხი საშუალოდ დაესწრო. ჩვენ ვიცით-რა ქალების მხრივ წრის მდგომარეობა, ვერ ვუსაყვედურებთ ამ პიესის არჩევის გამო, მხოლოდ ამას კი ვიტყვით: წრის სცენის მოყვარეებს ეს პიესა რავდენჯერმე წარმოუდგენიათ და ამიტომ ჩვეულებრივზე მეტს მოვთხოვთ მათ.

დარწმუნებული ვიყავით, საზაფხულო დასვენების შემდეგ სცენის მოყვარენი მეტ უნარს გამოიჩენდენ და ამ ცოცხლად დაწერილ პიესას (გარდა მესამე მოქმედებისა)—უფრო გააცოცხლებდენ. საჭიროც იყო სიცოცხლე. ბეიერლეინმა შეიჭვრიტა სამხედრო ყაზარმაში, მან სავსებით გადმოგვცა ამ დაწესებულების ორგანიზაცია, სადაც თვითეულ წევრისაგან მოითხოვენ ბრმა მორჩილებას, დაუფიქრებლივ ბრძანების ასრულებას, რიხიან და მკაფიო სიტყვა-პასუხს, სიმარდესა და სიმამაცეს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ასე არ იყო ,,სახალხო სახლის'' სცენაზე: სამხედრო ჯარის კაცთ-კი არა, რაღაც უსიცოცხლო ავადმყოფ ხალხს ადგენდენ. გამონაკლისს შეადგენდენ ვახმისტრები კვაის (ნ. გოცირიძე), ჶოლკგარდ (ბ. ზურაბიშვილი) და კლერხენ (ანკარა). რეჟისორს უსათუოდ ყურადღება უნდა მიექცია ტონისთვის, ვინაიდან სამხედრო პირნი ამაყნი და მედიდურნი არიან თავისზე უმცროსთან, სამაგიეროდ მონანი უფროსის წინაში და იქ ხომ სულ უფროს-უმცროსები არიან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ პიესის დამწყებ მსახიობზეა დამოკიდებული, თუ როგორ ტონს მისცემს მთელი პიესის მსვლელობას: მას შეუძლიან წარმოდგენას სრულიად ელფერი დაუკარგოს და მოჰგვაროს-კიდეც.

პიესა დაიწყო როტმისტრმა ჶონ-ბანევიცმა (ბ. ხახანოვმა). მისი ტონი იყო მკრთალი, უსიცოცხლო და ეს დაღი გაჰყვა მთელ პიესას ბოლომდის, რომელსაც ბ. ზურაბიშვილმაც კი-სავსებით ვერ დაალწია თავი. და განა ბანევიცი უსიცოცხლოა?—ჶოლკგარდის როლი ბ. ზურაბიშვილზეა გამოჭრილი, მას შეუძლიან სავსებით გადმოგვცეს დისციპლინისგან დამონავებულ ჯარის კაცის ფსიხოლოგია. ამ საღამოს-კი, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, უხალისობა ეტყობოდა, თუმცა სხვებში ირჩეოდა თავის დაკვირვებული თამაშით. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ შემდეგი: მეოთხე მოქმედებაში, იმ ადგილას, სადაც ჯვარს იგლეჯს, როგორც, ყალბ ლითონს, საჭირო იყო მეტი სიძლიერე. თვითვე ამბობს, რომ იმ ჯვრით ამაყობდა და იმასაც-კი ავიწყებდა, რომ უბრალო „უნტერ აფიცერია“. ამ გამოთხოვებაში უნდა დაეგმო ყველა ის, რასაც მონურად ასრულებდა და ემსახურებოდა 30 წელი. არც გრიმი ჰქონდა შესაფერი, საჭირო იყო მეტი სიბერე.

მონა-ჯარისკაცის ალლო სრულიად აულია და შეუსწავლია ბ. გოცირიძეს. ამ საღამოს მხოლოდ ეს იყო უნაკლულო მხედარი.

თუმცა, ჩვენის აზრით, ის კაცი, რომელიც ყოველგვარ კავშირს სწყვეტს ქალებთან და ცხენებს ეტრფის, არ იქმნება „ულვაშ ბზეკია“ და თითქმის ფატიცკი. მაგრამ გოცირიძემ ასე გადმოგვცა, რაიცა ბუნებრივი არ არის. ყველასთვის რომ შეესწავლებინა ის მხედრული თვისებანი, რომელნიც მან დაგვისურათხატა, რეჟისორის დანიშნულებასაც მიაღწევდა. სუსტი ლაუჶენი იყო ბ. მეტრეველი. აკლდა ახოვანება ლეიტენანტისა და კილო. საჭიროა მეტი რიხი და სიამაყე უმცროსებთან, ნარნარი, მომხიბვლელი ბაასი კლერხენთან. ეს ფრიად ლამაზი როლი მკრთალად გადმოგვცა. კლერხენი—ქ. ანკარა, ანსაბლთან შედარებით, კარგი იყო.

მოველოდით... და ვერ ვნახეთ ყაზარმაში აღზრდილი გელბიგი. მონობასა და ობლობაში გამოზრდილ, რომელსაც არ ახსოვს არამც თუ დედის ალერსი, ადამიანიც-კი, არ გვგონია ისეთი ნაზი და სუსტი ყოფილიყო, როგორიც ბ. პეპანოვმა გვიჩვენა. არა ბუნებრივი და მკრთალი იყო მეორე და მესამე მოქმედებებში, საჭიროა მეტი „სალდათური“ გმირობა, ცოტა არ იყო, გაუთლელობაც. სხვა მიზეზებთან ერთად უსათუოდ ამანაც შეუწყო ხელი კლერხენს, რომ ნაზ ლაუჶენზე გასცვალა. არც კილო ჰქონდა ქართული.

საერთოდ სცენის მოყვარეებს თუ როლი არ მოსწონთ, არ ცდილობენ ნაკისრი მოვალეობის პირ ნათლადა შესრულებას. ეს ითქმის—ბ. ხონელსა და ბ. რევაზოვზე. უკანასკნელმა ხომ ქართული ლაპარაკიც არ იცის. მერე სრულებით არ შეეფერებოდა იმ როლში საკუთარ სახით გამოსვლა. რატომ რეჟისორმა არ იხმარა თავისი უფლება და არ მოსთხოვა ბ. რევაზოვს კეთილ-სინდისიერად აესრულებია ნაკისრი მოვალეობა. მკრთალი იყო ბ. ფრონის პირელიც გვევნის როლში, არც გრიმი ჰქო[illegible].

საჭიროა მეტი შრომა, საქმის სიყვარული და დაკვირვებით შესრულდება - დასურათხატება ამა თუ იმ

დასასრულ ვუსურვებთ წრეს გამარჯვებული როლისა.

გამოსულიყოს ყველა იმ დაბრკოლებიდან, რომელიც მას ხვდა წილად და თავის მიზნისათვის მიეხწიენოს.

**ედმონდ კინი**

# წვრილი ამბები

**ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობამ დაადგინა** ჰონორარად ეძლიოს დრამატიულ ნაწარმოებთა ავტორებს თითო მოქმედებაში ორიგინალურ პიესის პირველ წარმოდგენისათვის 5 მ., შემდეგი წარმოდგენისათვის კი 3 მ. მთარგმნელებს კი მიეცემათ თითო მოქმედებაში პირველ წარმოდგენაში 3 მ. და შემდეგ წარმოდგენაში 2 მ.

✦ **ნარკანმა უკვე სთარგმნა** ანრი ბატაილის ახალი პიესა „ორი ვნება“, რომელიც ამ წლის სეზონშივე იქნება წარმოდგენილი.

✦ **კ. შათირიშვილი**, სახალ. თეატრის რეჟისორი, უკვე განიკურნა ავადმყოფობისაგან და თავის თანამდებობას შეუდგა. მისი რეჟისორობით პირველად წარმოდგენილი იქნება „ღალატი“.

✦ **ქართ. მსახიობთა თვით-განსავითრებელ წრის კრება მეორედ** შესდგა კვირა საღამოს, 19 ენკენ. რეფერანტად მოწვეული იყო ბ. ს. კაკაბაძე, რომელმაც ახსნა და განმარტა შაჰ-აბაზ პირველის პიროვნება, მისი ღვაწლი სპარსეთისათვის, გარეშე სამეფოებთან დამოკიდებულება და საქართველოში შემოსევის მიზეზები. რეფერატი ფრიად საინტერესო იყო და დამსწრენი გულდადებით უსმენდენ. დამსწრეთა შეკითხვისამებრ, რეფერანტმა გამოთქვა ზოგიერთი მოსაზრება.—როგორ უნდა დაიდგას „სამშობლო“. სხვათა შორის აღნიშ ა, რომ დიდი შეცდომაა, როცა შაჰხაბაზს წვერიანს თამაშობენ: პირ მოპარსული იყო და დიდულვაშაო. რეფერანტის ახსნით, შაჰ-აბაზი დიდი რეფორმატორი ყოფილ და სპარსეთის ისტორიაში იგეთივე ადგილი სჭერია, როგორც საქართველოს ისტორიაში დავით აღმაშენებელს, ხოლო რუსეთის ისტორიაში—პეტრე დიდსო. დამსწრეთ რეფერანტს მადლობა გადაუხადეს. საღამოს დაესწრენ, სხვათა შორის, მცხოვანი მგოსანი აკაკი, მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, რეჟისორნი და სხ.

✦ **ებრაელ მოსწავლეთა სასარგებლოთ** 6 ოქტ. სახ. სახლში გაიმართება ებრაული წარმოდგენა.

✦ **სახალხო თეატრის გამგეობა** აცხადებს, რომ ფარდის აწევის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებთ, რის გამოც მეორე ზარის დარეკვის დროს ყველამ თავთავისი ადგილები უნდა დაიჭიროთო. გონიერ განკარგულებაა და ვისურვებთ ამის განხორციელებას არამც თუ სახალხო სახლში, არამედ სხვა თეატრებშიაც

✦ **სომხური თეატრის სეზონი** დაიწყება შირვანზადეს პიესით ,,ნამუსისთვის‘‘.

✦ **ქართ. ისტორიულ-ეტნოგრაფიულ საზ-ის** კრება შესდგა 20 ენკენ. დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. წაკითხულ იქმნა ორი რეფერატი: ი. ი. აბულაძემ წაიკითხა „ბარამ გულიჯანიანისა და რუსთაველის ვეფხის ტყაოსანის“, ხოლო ა. ი. სარაჯიშვილმა— ,,ავარიული ლექსი კახეთის აკლების‘‘ შესახებ. პირველმა რეფერატმა ცხარე კამათი გამოიწვია.

✦ **სომხურ დრამატ. დასს** ნიკულინმა უარი გამოუცსადა ხუთშაბათებს ვერ დაგითმობთ, თუ გსურთ ორშაბათობით ითამაშეთო. ამის გამო სომხურმა დასმა სახაზინო თეატრს მიმართა. საგულისხმოა ერთი ფაქტი: სომხურ დრამ. საზ. გამგეობის წევრად გახლავთ ქართული თეატრის ამშენებელი— ხუროთ მოძღვარიც. ამ წევრს ჰკითხა, სხვათა შორის, ერთმა ჩვენმა დამსახურებულმა მსახიობმა: რა აქეთ-იქით დარბიხართ, რატომ ქართულ თეატრში არა მართავთ წარმოდგენებსო?—,,განა ეგ თეატრიაო?‘‘—უპასუხა მან.

— კაცო, და შენ არ ააშენე ეგ თეატრი? მაშ რაში მიიღე იმდენი ფული, თუ არ ვარგოდაო?!.

თეატრის ამშენებელმა ამაზედ მხოლოდ სიცილი დააყარა...

✦ **აკაკის ახალი პიესა ,,განთიადი‘‘** ამ ახლო ხანში ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება.

✦ **თბილისის მოურავად** არჩეულ იქნა ა. ი. ხატისოვი.

## ქუთაისის თეატრი

✦ **სეზონი ქუთაისის თეატრში** დაიწყება პარასკევს პირველ ოქტომბერს, ლანგიელის ახალი პიესით ,,ტაიფუნ‘‘, თარ. ელო ანდრონიკაშვილისა.

✦ **ქუთ. ქარ. დრამ. საზ-ამ.** რეჟისორებად მოიწვია; შალვა დადიანი და მიშა ქორელი.

✦ **შალვა დადიანმა** სთარგმნა ლ. ანდრეევის ახალი პი ესა ,,გაუდეამუს‘‘, რომელიც ახლო მომავალში დაიდგმება.

✦ **დრამატიულმა საზოგადოებამ**, თეატრის ადმინისტრატორად მოაწვია მსახიობი ვასო ურუშაძე.

✦ **ვანო ბარველმა სთარგმნა** მ. გორკის ახალი პიესა ,,უკანასკნელი‘‘, რომლის მზადებასაც დასი უკვე შეუდგა.

✦ **თეატრის განათების საქმე**, როგორც გავიგეთ, ჰსურს აიღოს პ. ფერაძემ, რის გამოც მოლაპარაკება აქვს თეატრის დირექციასთან. ახლა თეატრს ანათებს მ. ლაღიძის საელექტრონო სადგური.

✦ **ქართული დასის** ყოფილი მსახიობი (როგორც თვითონ უწოდებს თავის თავს) დათიკო ჩარკვიანი, რუსულ დასში გადავიდა. რამდენიმე წარმოდგენაში კიდეც მიიღო მონაწილეობა. არა უშავდა რა ,,ხლესტაკოვის‘‘, როლში (გოგოლის ,,რევიზორი‘‘) მონაწილეობას ანდრეევის პიესაში ,,დღენი ჩვენი ცხოვრებისა‘‘.

## დაბა-სოფლები

**ყვირილა.** წერ - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება უკვე შეუდგა დამწვარი თეატრის დახსნის საქმეს. აზრად აქვს გადააკეთოს და მოაწყოს, რის გამოც ჯეროვანის თხოვნით მიმართა ქუთაისის სათავად - აზნაურო ბანკს, სადაც დაგირავებულია.

**ბიჭი-ბიჭი**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

# ქართული თეატრი

## სეზონი დაიწყება კვირას, 26 სექტემბერს

განზრახული რეპერტუარი:

### დასში მოწვეულნი არიან:

**ქალები:** ტასო აბაშიძე, ნინა დავითიშვილი, მარო ვიქტორელი, ალექს. კარგარეთელი, ოლგა ლეჟავა, არეთა ლოლუა, ანასტ. პიერეტა, მარგ. ქილარჯიშვილი, ანნა შოთაძე, ელის. ჩერქეზიშვილი, ნატ. ჯავახიშვილი.

**ვაჟები:** ვასო აბაშიძე, ვლად. ალექსი-მესხიშვილი, გიორგი არედელი, ზაქ. ბერიშვილი, ნ. გვარაძე, ვალ. გუნია, იოსებ ივანიძე, იოსებ ზარდალიშვილი, ილია მამფორია, ვიქტორ მატარაძე, დავ. მგალობლიშვილი, ბუდუ მდივანი, კოტე მესხი, იოსებ ჟივიძე, ვალ. შალიკაშვილი, ზაქ. საფაროვი და სხვ.

### სამასტროლოდ მოწვეული იქნებიან:

ვიქტორ გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნინა ჩხეიძე, კონსტანტინე შათირიშვილი, სვიმონ სვიმონიძე, და სხვანი,

**რეჟისორები:** ვლად. ალ. მესხიშვილი და ვ. შალიკაშვილი.

**სცენარიუსი:** ზაქ. ბერიშვილი, და ილია მამფორია.

**სუფლიორები:** ბეგ. ბეგლარიძე და იოსებ გრიშაშვილი.

**გარდერობის უფროსი გამგე:** მარიამ საფაროვ აბაშიძისა.

### ორიგინალი პიესები:

შიუკაშვილისა: გამხმარი ფოთოლი, მეგობრობა, სიმახინჯე,

გედევანიშვილისა: მსხვერპლი.

მალაქიაშვილისა შავი გველი.

გლახაშვილისა: დალი.

რამიშვილისა: საბედისწერო დამბაჩა და სხ.

### ნათარგმნი პიესები

გორდინისა: სატანა, მირრ ეფროს.

ბერნარდ შოუსი: კეისარი და კლეოპატრა.

ბომარშესი: ფიგაროს ქორწინება.

იბსენისა: სიყვარულის კომედია, ექიმი შტოკმანი,

ჰაუპტმანისა—მზის ამოსვლამდე, სულით ობოლნი.

ჯერომ ჯერომისა: ქალის ჰკუა.

ზუდერმანისა: ივანობის ღამე.

დ,ანუნციოსი: ჯიაკონდა.

დრეიერისა—ნორჩი თაობა.

ბატაილისა—ორი ვნება.

შვაიერისა: ნიშანი ჩოფა-ქცევიში.

შირვანზადესი: ევგენე.

დეკორატიული ნაწილის გამგენი:
**ი. ნიკოლაძე, გ. გრინევსკი, ლანსკი.**

მხატვარი-დეკორატორი **ლანსკი**

## პირველი კვირა

# სამშობლო

დ. ერისთავისა. ახალი დეკორაციები და ახალი ტანისამოსი

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი**

## სატანა

ი. გორდინისა—თარგმ. ვ. შალიკაშვილისა (პირველად ახალი პიესა), ახალი დეკორაციებით და ახალი ტანისამოსით.

რეჟ. **ვლ. ალ-მესხიშვილი.**

## სიმახინჯე

ნ. შიუკაშვილისა — პირველად ახალი პიესა.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**

**ქართული დრამატიულ საზ-ის გამგეობა**

Типографія „ГЕРМЕСЪ“ Мухранская, № 13.